მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან აკოპიანის შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ო ქ მ ი N1

ქ. მარნეული **10.09.2019 წელი**

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ლევან აკოპიანი,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდა- შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების შაუმიანი,ახკულა,ხიხანი,ყუდროს მოსახლეობა, ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი და თამუნა ჩაჩანიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ლევან აკოპიანის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან აკოპიანმა შაუმიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (შაუმიანი, ახკულა,ხიხანი,ყუდრო)მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო შაუმიანის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.აღინიშნა,რომ მიმდინარე წელს სოფელ შაუმიანში განხორციელდა სასმელი წყლის რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა,ასევე სოფელ შაუმიანის ამორტიზირებული ხიდის

პროექტირება განხორციელდა.სოფელ ახკულაში გარე განათება მოეწყო.სოფელ ხიხანში წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდა,ასევე სოფ. შაუმიანი - ხიხანის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება.სოფელ ყუდროში სასმელი წყლის შიდა ქსელის, მრიცხველების მოწყობა და რეზერვუარის რეაბილიტაცია განხორციელდა,ასევე მოეწყო გარე განათება.

აზრი გამოთქვეს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი შაუმიანის მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია სასმელი წყალი,სარიტუალო დარბაზი,სპორტული დარბაზი, საბავშვო ბაღის და სკოლის გათბობის სისტემით აღჭურვა .საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა ,ასევე სარწყავი წყლის რეაბილიტაცია.სოფელ ხიხანში ხიდის რეაბილიტაცია დაასახელა მოსახლეობამ პრობლემათა ჩამონათვალში ,ასევე საბავშვო ბაღის გათბობით უზრუნველყოფა,სარიტუალო დარბაზი და სასმელი წყლის რეაბილიტაცია.სოფელი ყუდროს ადგილობრივმა მოსახლეობამ აქტუალურ პრობლემად სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაასახელა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ლევან აკოპიანის გაწეული მუშაობის ანგარიში.